

86 წელი თქვენთან ერთად!

87 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.




„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეცხეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაბრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №8 {7013} 15 აპრილი 2020 წელი • www.Terjola.gov.ge

19 აპრილი—ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესი

ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს დ გ ა !



ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი.

7 აპრილს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II მრევლს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დღესასწაული სამების ყოვლადწმინდა ტაძრის ხარების ეკლესიაში მიულოცა და წირვის დასრულების შემდეგ ამ დღის მნიშვნელობაზე იქადაგა.



„ხარება ისეთი დიდი დღესასწაულია, რომ ჩიტი ბუდესაც კი არ აკეთებს თავისთვის. ფრინველები, ცხოველებიც კი ადიდებენ უფალს. აი, ამ დღეს გამოცხადდა ღვთისმშობელ დედას მთავარანგელოზი გაბრიელი და ახარა, „გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანა. დღეს ვრწმუნდებით, რამდენად დიდია სიყვარული ღვთისა ადამიანის მიმართ, რამდენად დიდია უფლის წყალობა ადამიანის მიმართ“— ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, მილოცვა „გიხაროდენ“ უძველესი ებრაული მილოცვა იყო. „ჩვენ ერს ჰქონდა და აქვს გამარჯვება. სხვადასხვა ერს სხვადასხვაგვარი მილოცვა აქვს. მთავარანგელოზმა გაბრიელმა ღვთისმშობელს უთხრა „გიხაროდენ მიმადლებულო“, მადლმოსილო. ღვთისმშობელმა მადლი მიიღო თავისი სინმინდით, სარწმუნოებით, სიყვარულით. დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ თაყვანს ვცემთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელ დედას და მთავარანგელოზ გაბრიელს და შევთხოვთ მათ, ახარონ საქართველოს გამთლიანება, ახარონ საქართველოს მშვიდობა და ახარონ სიკეთე. დღეს ყოველმა ჩვენთაგანმა რაღაც სიკეთე უნდა გააკეთოს და ის სიყვარული, რასაც თქვენ მოუტანთ მოყვასს, ათმაგად დაგიბრუნდებათ. ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო! ღმერთმა ყველა თავისი დიდი სიყვარულით დაგვაჯილდოვოს!“

ნათელი ქრისტუსი განგვანათლებს ყოველთა!
ცხოვრება იესო ქრისტესი ☎3,4,5,6

კორონავირუსი COVID-19 გლობალური საფრთხე და ჩვენი პასუხისმგებლობა! ☎7,8

„თერჯოლელთა დიდი თანადგომის იმედით“ ...

2 აპრილიდან ლაშა გოგიაშვილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელია

ლაშა გოგიაშვილი თერჯოლელია. იგი 1979 წლის 3 ნოემბერს დაიბადა. 1997 წელს დაამთავრა თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, 2004 წელს კი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი. აქვს ხელოვნების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

2002-2010 წლებში მუშაობდა შპს „მელოდია არტი“ მმართველების მენეჯერად, შპს „ივენო კომპანიში“ აღმასრულებელ დირექტორად, იყო საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ლიტბარი, შემდეგ კი ამავე ცენტრის სამეურნეო დარგის მთავარი მენეჯერი, 2017 წლიდან კი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ დანიშნულა მუშაობდა ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ დირექტორის მოადგილედ.

ლაშა გოგიაშვილი 1998 წლიდან ეწევა აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას. იგი დღემდე საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი შემოქმედებითი ჯგუფების ანსამბლ „ლაშარის“ და კვარტეტ „მუხამბაზის“ წევრი. 2010-2015 წლებში იყო ტრიო „ქალაქურის“ და ანსამბლ „მუხამბაზის“ წევრი. კარგად ფლობს 2 უცხო ენას. დაოჯახებულია—ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

მიმდინარე წლის 31 მარტს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №45 435 ბრძანებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ ამ თანამდებობიდან მანუჩარ ფანჭულაძის გადათავსების შემდეგ დანიშნა ლაშა გოგიაშვილი. იგი მეორე დღეს, 1 აპრილს წარუდგინა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს სახელმწიფო რწმუნებულმა იმერეთში ზვიად შალამბერიძემ. იმავე დღესვე, მუნიციპალიტეტის მერმა ბონდო სოფრომაძემ, ოჯახური პირობების გამო, გააკეთა განცხადება უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, რაც 2 აპრილს ცნობად მიიღო მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაში.

ამ დღიდან, მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლობის უფლებამოსილებას ითრავებს ბონდო სოფრომაძე. ლაშა გოგიაშვილს დაეკისრა მერიის თანამშრომლებთან წარდგენისას, ლაშა გოგიაშვილმა მადლობა გადაუხადა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ლიდერებს, თერჯოლა-ციხიშელის გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარ დეპუტატს ელგუჯა გოცირიძეს, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და მხარდაჭერისათვის, ასევე მადლობა გადაუხადა ბონდო სოფრომაძეს განუყოფელი მუშაობისათვის.

გაზეთ „თერჯოლასთან“ საუბრისას კი მან ასეთი განცხადება გააკეთა: „ჩემთვის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ვიყავი და პასუხისმგებლობაა. მე თერჯოლელი ვარ, ყველაფერი აქა-

ური ძვირფასია ჩემთვის, ძვირფასია ყველა თერჯოლელი, ჩემი, უფრო უმცროსი თუ უფროსი თაობის ადამიანები, რომელთა მნიშვნელოვანი უმრავლესობას, ძალიან კარგად ვიცნობ. სწორედ ამიტომ და თერჯოლელთა დიდი თანადგომის იმედით მინდა მაქსიმუმი ძალისხმევით ვაკეთო მათთვის სასიკეთო საქმეები.“

წარმატებებს ვუსურვებთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის ახალ შემსრულებელს!



გაზი, დენი და წყალი უფასოდ!

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, ყველას, ვინც თვის განმავლობაში მოინახურა 200 კილოვატზე ნაკლებ ელექტროენერჯიას და ასევე, 200 მ³-ზე ნაკლებ ბუნებრივ აირს, 3 თვის განმავლობაში—მარტში, აპრილსა და მაისში სრულად დაუფინანსდება გადასახადები, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარაიამ კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებებთან და ერთდროულად საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში დახმარება 120-მა მარტოხელა, 70 წელს გადაცილებულმა მოხუცმა მიიღო. პირველი მოთხოვნების პროდუქტები მათ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, სამუშაო ვაგონის წევრებმა და მოხალისეებმა, რომლებსაც სპეციალური ტრენინგი აქვთ გავლილი, ოჯახებში მიუტანეს.

დღის წესრიგით—კორონავირუსი და მისი პრევენცია!

ამ დღის წესრიგით უკვე ორი თვეა განსაკუთრებული წესით ცხოვრობს საქართველო. მთელი სიმძიმე კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში მედიკოსებსა და ხელისუფლებას გადადის, რაც უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში განვითარებული პანდემიის ფონზე საკმაოდ ეფექტურად გამოიყურება.

24 საათიანი რეჟიმით მუშაობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში კორონავირუსის ვაკრცელების პრევენციის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომლის საქმიანობაში ახალ თანამდებობაზე დანიშნისთანავე ჩაერთო მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, დაფინანსება აგრეთვე მოიცავს დასუფთავების და წყლის გადასახადებს. „აქ შედის როგორც დასუფთავების, ასევე, წყლის გადასახადიც. ეს დახმარება არის პირდაპირ მიმართული თითოეულ მოქალაქეზე, რომელიც ჩვენ მთავრობის ფარგლებში მივიღეთ და გვესმის, რომ ეს არ იქნება საკმარისი. რა თქმა უნდა, გვესმის, რომ ჩვენ უნდა მოვახდინოთ თითოეული მოქალაქის იდენტიფიცირება, რომელმაც დაკარგა სამსახური და ამის შემდგომ ჩვენ გვექნება სპეციალური ღონისძიებები მათი პირდაპირი დახმარებისთვის.“

სასურსათო პროდუქტები საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, მარტოხელა მოხუცებს...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა გოგიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძემ, მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელ დიანა ფოცხვერაშვილთან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეებს ძირითადი მოთხოვნების პროდუქტები სახლებში მი-



უტანეს. „მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა მარტოხელა მოხუცმა და საბავშვო ბაღის 1189 აღსაზრდელმა კვების საჭირო რაიონის გათვალისწინებით მიიღო სასურსათო კალათა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დახმარებას მიიღებენ სხვადასხვა საჭიროებების მქონე მოქალაქეები, განსაკუთრებული რისკის მქონე ქრონიკული დაავადების მქონე ბენეფიციარები, ასევე თვითიზოლაციაში მყოფი პირები. მივმართავ ჩვენს მოქალაქეებს, დაიცვან სპეციალისტების რეკომენდაციები, რათა ერთად, მალე შევძლოთ ამ გამოწვევის დამარცხება და ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნება.“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილი.



თო მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი. სამუშაო ჯგუფში მერიის, საკრებულოს, სოციალური და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები შედიან. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველ ღონეს ხმარობს შექმნილი მდგომარეობის დასაძლევად. მკაცრად ვაკონტროლებთ თუ როგორ სრულდება საგანგებო მდგომარეობის წესების დაცვა.“

სულ ახლახანს კი სპეციალური სადღეინფექციო ქაფისებრი ხსნარით მთლიანად დავფარეთ ქალაქ თერჯოლის ცენტრალური მაგისტრალი. კვლავ მოვუწოდებ ჩვენს მოსახლეობას, გამოიჩინონ მოქალაქობრივი თვითშეზღვევა, დარჩნენ სახლებში და დაიცვან ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციები. ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში დაგვირეკონ ცხელ ხაზზე - 0491 24 44 64, 599 15 20 78, მოგწერონ ფეისბუქ-გვერდზე, ან მიმართონ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს.“—განაცხადა ჩვენთან საუბარში ლაშა გოგიაშვილმა.

თანადგომა შეჭირვებულ ოჯახებს...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა გოგიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძემ, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, სახლებში პროდუქტი ამჯერად სოფელ ალისუბანში შეჭირვებულ, მათ შორის მძიმედ დაავადებულ და მარჩენალდაკარგულ ოჯახებს მიუტანეს.

„იმისათვის, რომ მოქალაქეებს არ მოუწიოთ სახლიდან გასვლა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, მოხალისეებთან ერთად, 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ. ნებისმიერ შემოსულ შეტყობინებაზე მყისიერად ხდება რეაგირება. შესაძლებლობის ფარგლებში დავცემარებით სხვადასხვა საჭიროების მქონე ყველა მოქალაქეს“, —განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

ადგილობრივებს სასურსათო კალათა, ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ალისუბანში მერის წარმომადგენელმა გაგა აბუჯანდაძემ, სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბადრი ბუცხრიკიძემ, საკრებულოს წევრებმა იმედა რობაქიძემ და გიორგი ფანჭულაძემ გადასცეს. იმ დღეს დახმარება ალისუბანში 10-მა ოჯახმა მიიღო.

სტუმრად ღვანლმოსილ პედაგოგთან

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი 89 წლის მარტოხელა დამსახურებულ პედაგოგს ესტუმრა, რომელსაც სასურსათო პაკეტი გადასცა და სხვადასხვა თემაზე ესაუბრა, მათ შორის ადგილობრივ პრობლემებზე.

ლაშა გოგიაშვილთან ერთად ქალბატონს მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი დიანა ფოცხვერაშვილი და ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი ვასილ ფანჭულაძე სტუმრობდნენ. მან სტუმრებს ნობათისთვის მადლობა გადაუხა და პრობლემის შესახებ ესაუბრა, რომლის მოგვარებაც წლებია არ ხერხდება, რაზეც დაუყოვნებლივი რეაგირების პირობა მიიღო.

გაიღე სისხლი—გადაარჩინე სიცოცხლე!

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი სისხლის გაღებასთან დაკავშირებით დაავადებულ კონტრაქტორებსა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილის პაატა იმნაძის მონაწილეობის შედეგად.

ლაშა გოგიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძემ მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებთან, მუნიციპალიტეტში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან და ახალგაზრდული ფრთის წევრებთან ერთად დონაციის აქციაში მიიღეს მონაწილეობა.

ამასთან, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მოუწოდა მოქალაქეებს, გაიღონ სისხლი და დაეხმარონ მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.


თერჯოლის სპორტის სასახლეში სისხლი იმ დღეს 70-მდე მოქალაქემ გაიღო, მათ შორის მოხალისეთა ჯგუფის წევრებმა და მოსახლეობამ.



ნათელი ქრისტუსი განგანათლებს ყოველთა!

იცოდა იუდა, მისმა გამცემმა, ადგილი, სადაც იყო იესო და მოწაფეები. წაიყვანა იქ მღვდელმთავართა და ფარისეველთა მსახურნი, მწრაფელ მიეახლა და ეამბორა. მაშინ მეომრებმა და იუდეველთა მსახურებმა შეიპყრეს იესო.

გათუნდა. უხუცესებმა ბჭობა გამართეს იესოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი. და მისცეს პონტიუს პილატეს,



მთავარს. რა იხილა იუდა, გამცემმა, რომ მსჯავრი დადეს, შეინანა, დააბრუნა ოცდაათი ვერცხლი და თქვა: შევეცოდე, რომ მივეცი მართალი სისხლი და თავი ჩამოიხრნო. მღვდელმთავრებმა კი სისხლის საფასურის ფულით—ოცდაათი ვერცხლით იყიდეს მიწა უცხოთა სასაფლაოთ.

პილატემ ვერანაირი ბრალი ვერ დადო იესოს, გაუბრაუნა იგი პერადეს, რომელიც იმ დღეებში იერუსალიმში იყო. ორივე ამბობდა, რომ სიკვდილის ღირსი არაფერი ჩაუდგინა.

ყველა დღესასწაულზე პილატე ათავისუფლებდა ერთ პატიმარს, რომელსაც ხალხი თხოვდა. როცა შეიკრიბნენ, უთხრათ პილატემ ვინ გაეთავისუფლებინა: ბარაბა, რომელსაც მკვლელთა პქონდა ჩადენილი, თუ იესო. მღვდელმთავრებმა წააქეზეს ხალხი და გამოითხოვეს ბარაბა.

სასიკვდილო განაჩენი

გამოვიყვანთ იესოს, თქვენ თუითონ აცვით ჯვარს, რადგან ვერავითარ ბრალს ვერ ვპოულობ მასში: სიკვდილის ღირსია, რადგან დემეტრიუს ძედ დაისახა თავი, შვითათვდა ხალხი. რაკი იხილა პილატემ, რომ ვერაფერს შეეღობა, ხალხის წინაშე დაიბანა ხელები—მე უბრალო ვარ ამ მართლის სისხელში, თქვენ იკითხეთ.

იყო პასუხის პარაკევი, ასე მეექვსე საათი. მისდევდა იესოს ურიცხვი ხალხი, ტროიდენ და გლოვობდნენ. როცა

მიადწიეს იმ ადგილს, რომელსაც ჰქვია გოლგოთა, იესო ჯვარზე გააკრეს, თუითონ კი ამბობდა: **მამაო, მიუტევე მათ, რადგან არ იციან რას სწადიან.** მეომრებმა კი აიღეს მისი სამოსი და ოთხ ნაწილად გაყვეს, აგრეთვე კვართი, რომელსაც, რადგან ნაკერი კი არა, თავიდან ბოლომდე ნაქსოვი იყო. წილი იყარეს. როგორც წერილი ამბობს: **გაიყვენს ჩემი სამოსი ერთმანეთს შორის, და ჩემს კვართზე იყარეს წილი.**

მექვესე საათიდან მეცხრე საათამდე წყველიდმა მოიცვა მოელი ქვეყანა. მიხვდა იესო, რომ აღსრულდა წერილი და ხმაშაღღა შეჰქალადა: **მამაო, შენს ხელს ვაბარებ ჩემს სულს და ამ სიტყვებით განუტევა სული და იბრა მიწა, დასკდნენ კლდენი, განიხსნენ საფლავნი და წმიდა განსვენებულთა მრავალნი გაჰმნი აღდგნენ და გამოეცხადნენ მრავალთ.** იესოს მოდარაჯენი ძლიერ შეშინდნენ და თქვეს: **ტყეშმარტად დემეტრიუს ძე იყო იგი.**

იუდეველებმა თხოვეს პილატეს ჩამოეხსნათ იესო და მასთან ერთად სხვა ჯვარცმულიც, რათა შაბათს, რადგან დიდი დღე იყო იგი, გვამები ჯვარზე არ დარჩენილიყვნენ. ჯვარცმულთ წვივები გადაუმსხერიეს, იესოს კი ერთმა მეომარმა შუბი აძგურა ფერდში და მისვე გადმოსწქევა სისხლმა და წყალმა, ამით აღსრულდა წერილი—ძვალე მისი არ შეიმუხროს.

ოსებს არიმათიელმა და ნიკო დიმოსმა გაახვიეს იესოს სხეული ტილოებში, დაასვენეს სამარხში და მიაციდნენ დიდი ღარი. მარიამ მაგდალინელი და მარიამ ოსიუსი ხედავდნენ ყოველივე ამას.

მეორე დღეს, შაბათს, შეიკრიბნენ მღვდელმთავრები პილატეს კარზე. და თქვეს: ამ მაცდურმა სიცოცხლეში თქვა, მესამე დღეს აღდგებო. ბრძანე, უდარაჯონ საფლავს, მოწაფეებმა არ მოიპარონ და არ უთხრან ხალხს—მკვდრით აღდგაო.

მღვდელმთავრებმა და ფარისეველებმა სამარხის დასაცავად დაბეჭდეს ღარი და დარაჯი დააყენეს.

უკანასკნელი ორმოცი დღე

და როცა გავიდა შაბათი, საშინლად იბრა მიწა, უფლის ანგელოზი ჩამოეშვა ზეცით, გადააგორა საფლავის ღარი და ზედ ჩამოაჯდა. სახე მისი იყო როგორც ელვა, სამოსი მისი სპეტაკი, როგორც თოვლი. როდესაც მარიამ მაგდალინელი და მარიამ იაკობისა და სალომე მივიდნენ იესოს



საფლავთან და ვერსად ნახეს, წარმოუდგათ მათ მოელვარე სამოსით მოსილი ორი კაცი და უთხრათ: რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებში, ჯვარცმული იესო აღდგა!

კვირას, მკვდრით აღმდგარი იესო ეჩვენა მარიამ მაგდალელს, რომელიც აუწყა მოწაფეებს, რომ იხილა უფალი, მაგრამ არ ირწმუნეს, სადამოს კი იესო მივიდა მოწაფეებთან, გამოეცხადა თომას, მოახდინა საკვირველი თევზჭერა ტიბერიადის ზღვაზე, მრავალი სარწმუნო ნიშნით წარმოუდგა მოწაფეებს, ეცხადებოდა მიმდევრებს.



ერთ დღეს, იესოს ბრძანებით, მოწაფეები შეიკრიბნენ გალილეის მთაზე, სადაც იესო აძღვეს დავალებას: **გაიხადეთ მოწაფეებად ხალხი, მონათლეთ ისინი სახელთა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ასწავლეთ ყოველივეს დაცვა, რაც მე გასწავლეთ და აი, თქვენთან ვარ ყველა დღეს წუთისოფლის აღსასრულამდე, ამინ.**

აღდგომის მეორმოცე დღეს იესომ წაიყვანა მოწაფეები ზეთისხილის მთაზე, აღაპყრო თავისი ხელები, აკურთხა ისინი და ამაღლდა ზეცაში.

სულიწმინდის გარდამოსვლა

როცა სრულდებოდა იესოს აღდგომიდან ორმოცდაათი დღე—ერგასობას ყველანი ერთად იყვნენ ერთ სახლში, ანაზად იგრავინა ზეცით, მოველინა მათ ალივით გაყოფილი ენები, რომლებიც დაეფინა თითოეულ მათგანს და აღიესნენ სულით წმინდით და სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენ, როგორც სული ამტყველებდა მათ, შემოკრბა დიდძალი ხალხი და თითოეული ისმენდა მის საკუთარ ენაზე—დემეტრიუს სიღიადეს.

საეკლესიო უდიდესი დღესასწაულები

ბრწყინვალე აღდგომა ჩვენი უფლის, ღვთის და მაცხოვრის იესო ქრისტესი. **თორმეტათვანი მოძრავნი**

1. ბზობა, დიდებით შესვლა იერუსალიმში ჩვენი უფლის იესო ქრისტესი.
2. ამალღება ჩვენი უფლის იესო ქრისტესი.
3. სულიწმინდის გადმოსვლა—სულითოფენობა.
- თორმეტათვანი უძრავი**
4. გაცხადება ჩვენი უფლის იესო ქრისტესი—ნათლისღება 6 (19) იანვარს.
5. მირქმა (მიგებება) ჩვენი უფლის იესო ქრისტესი—2 (15) თებერვალს.
6. ხარება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა—25 მარტს (7 აპრილს).
7. ფერისცვალება ჩვენი უფლის იესო ქრისტესი—6 (19) აგვისტოს.
8. მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა—15 (28) აგვისტოს.

9. შობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა—8 (21) სექტემბერს.
10. მსოფლიო ამალღება პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარისა, ჯვართამაღლება 14 (27) სექტემბერს.
11. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში მიყვანა—21 ნოემბერს (4 დეკემბერს).
12. შობა ჩვენი უფლის იესო ქრისტესი—25 დეკემბერს (7 იანვარს).
- დიდი დღესასწაულები**
- წინადაცვეთა ჩვენი უფლის იესო ქრისტესი და ხსენება ბასილი დიდისა.
- შობა წინასწარმეტყველის და ნათლისმცემლის იოანესი.
- ხსენება წმინდა მოციქულების: პეტრესი და პავლესი.
- თავისკვეთა იოანე ნათლისმცემლისა.
- საფარველი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, მცხეთობა.
- მარხვები**
- ყოველ ოთხშაბათს—პარასკევს, გარ-

და მსგევსისა. ნათლისღების წინადღეს. დიდი მარხვა. პეტრე-პავლობის მარხვა. მარიამობის მარხვა. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეს და ჯვართამაღლებას. შობის მარხვა. **მამაო ჩვენო** მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იევე სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი. იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ვგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტვენ ჩვენ თანანადებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივეტევეთ თანამდებთა მათ ჩვენთა. და ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მისხენ ჩვენ ბოროტისაგან. **მრწამსი** მრწამს ერთი დემეტრი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა.



კორონავირუსი და რელიგია...

კორონავირუსის პანდემიამ (COVID-19) ფაქტურად ყველა რელიგიური აღმსარებლობის წესებშიც შეიტანა ცვლილებები. დაიხურა მეჩეთები, სხვადასხვა რელიგიების სალოცავები, აღარ ტარდება ტრადიციული ლოცვები...

რომის პაპის გადაწყვეტილებით მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული სააღდგომო მესა ვატიკანში, წმინდა პეტრეს ცარიელ ტაძარში ჩატარდა...

სიფრთხილის სხვადასხვა ზომებს მიმართავენ მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიებიც... ბუნებრივია, ისმის კითხვა თუ რა მდგომარეობა ამ მხრივ საქართველოში, რა ცვლილებებია საპატრიარქოს პოზიციებში, რომელსაც არაერთგვაროვნად აფასებს საზოგადოება. მართლმადიდებელ მოქალაქეთა ერთი ნაწილი კატეგორიული წინააღმდეგია, რომ ეკლესიებში ზიარება მოხდეს საერთო კოვზით და აცხადებენ, რომ ტაძრებში ილოცონ მხოლოდ სასულიერო პირებმა, მრევლმა კი სახლში.

საგულისხმოა, რომ ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავე ხდება სააღდგომო საზეიმო წირვის გამო, რომელიც აღდგომის ღამეს ტარდება და კომენდატის საათს ემთხვევა.

უნდა ითქვას, რომ საპატრიარქო და საქართველოს მთავრობა ჯერჯერობით ვერ შეთანხმდნენ სააღდგომო ლიტურგიის ისეთი ფორმით ჩატარების თაობაზე, რომ გამოირიცხოს ეკლესიებში კორონავირუსით დაავადებული მრევლის მისვლის ერთი შემთხვევაც კი.

ვითვალისწინებთ, რომ აღდგომამდე დარჩენილია მხოლოდ რამდენიმე დღე, მკითხველს ვთავაზობთ იმ წესებს, რომლებიც გასულ თვეს წმინდა სინოდის საგანგებო სხდომამ დაადგინა კორონავირუსთან დაკავშირებით.



წმინდა სინოდის განჩინება

დღევანდელი მსოფლიო მრავალი სირთულისა და გამოწვევის წინაშე დგას. ახალმა ვირუსმა ადამიანები მორიგი დიდი გამოცდის წინაშე დააყენა, რაც პასუხის გაცემას მოითხოვს. პირველ რიგში კი გვმართებს გავაცნობიეროთ ამ მოვლენის სულიერი მიზეზები.

მთავარი მიზეზი კი ადამიანის ღვთისგან დაშორებაა.


განსაცდელეები არ არის შემთხვევითი, არამედ ღმერთის

არამედ ვიღებთ თავმდაბლობით და ვეძიებთ მისი დაძლევის გზებს. ასეთ დროს მორწმუნეები, განსაკუთრებით კი წმინდა და დიდი მარხვის პერიოდში, აძლიერებდნენ მარხვასა და ლოცვას.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები, თუ რამდენად საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს ტაძარში მორწმუნეთა სიმრავლე და ღვთისმსახურებაში მონაწილეობა.

ეკლესიის ყველა საიდუმლოება სულიწმინდის მოქმედების

არსი; ევქარისტიული კავშირი გვერთიანებს უფალ იესო ქრისტესთან და ერთმანეთთან; წმინდა ზიარება არის საკურნებელი სულისა და ხორცისა მათთვის, ვინც რწმენითა და საეკლესიო წესების დაცვით ეზიარება. ამიტომაც, ეკლესიის წევრებისათვის ზიარების საიდუმლოების არსში დაეჭვება და მოქმედებით ამის გამოხატვა, – მაგალითად, საზიარებელ საერთო კოვზზე უარის თქმა, როგორც ინფექციის გადამტან წყაროზე, – ყოველად მიუღებელია.



დაშვებით მოველინება ადამიანს, რათა უფრო მეტად შეიცნოს საკუთარი თავი, სინანულისა და ეკლესიური ცხოვრების საშუალებით აღმოფხვრას ცოდვები, რომელიც ანადგურებს პიროვნებას სულიერად და ხორციელად. ჩვენ, ეკლესიის წევრები, არ ვუშინდებით და არ გავუზრბივართ განსაცდელს,

სვეროა, სადაც აღესრულება ღვთაებრივი სასწაული, რომელიც განაღმრთობს და მარადიულ ცხოვრებასთან თანაზიარყოფს ადამიანს. ადგილი სულიწმინდის განსაკუთრებული მოქმედების არის ტაძარი.

ევქარისტია არის ქრისტიანული ცხოვრების მთავარი

ამ კრიტიკულ პერიოდში წმინდა სინოდი მიზანშეწონილად მიიჩნევს შემდეგ რეკომენდაციებს:

1. ყველა ეკლესიასა და მონასტერში ღვთისმსახურება ჩატარდება მარხვის ტიპიკონისა და ეკლესიის წეს-განგებების სრული დაცვით.

2. სასურველია, ყველა მოქმედ ტაძარში და მის გარეთ დამონტაჟდეს გახმოვანების საშუალებები, რათა მრევლმა ღია სივრცეშიც შეძლოს საეკლესიო მსახურებაში მონაწილეობა.

3. ზიარების შემდგომ მცირე რაოდენობით დასაყოლებელი სასმელის (წელიანი ღვინის) მიღება დასაშვებია სხვადასხვა ჭურჭლით.

4. რისკის ჯგუფში მყოფ ადამიანებს – ხანდაზმულებს, ინფექციური დაავადების სიმპტომებისა და დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე პირებს, ასევე თვითიზოლაციაში ან კარანტინში მყოფთ, ან ვირუსით დაავადებულებს, სურვილის შემთხვევაში სამღვდლოება ადგილზე მოემსახურება. ამ შემთხვევაში სასულიერო პირებს მიეცემათ დამატებითი რეკომენდაციები.

5. დასაფასებელია საქართველოს მთავრობის ყველა სტრუქტურის, განსაკუთრებით კი ჯანდაცვის მუშაკების, თანმიმდევრული ნაბიჯები, რომელიც გადაიღვა მაღალი პროფესიონალიზმით.

წმინდა სინოდი მორწმუნეებს მოუწოდებს, გაითვალისწინონ სახელმწიფოსა და ექიმების რეკომენდაციები და სიფრთხილით მოეკიდონ ერთმანეთის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ეს არის მოყვასზე ზრუნვის გამოვლინება. ამით დავიცავთ ერთმანეთის ჯანმრთელობას და მოვერიდებით, გავხდეთ სხვათა დასნებოვნების მიზეზი.

არსებულ სიტუაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანურ სიკეთეს და ურთი-

ერთმხარდაჭერას. ეს იქნება ჩვენი რწმენისა და ღირსების მაჩვენებელი.

6. ვიდრე ქვეყანაში რთული მდგომარეობაა, ყველამ წავიკითხოთ თითო თავი სახარებიდან, ყოველდღე ვთქვათ ლოცვები: „მამაო ჩვენო“, „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ“ და „მონყალბისა კარი განგვიღე“, რათა ერთობით შევავედროთ უფალს საქართველო და მთელი მსოფლიო.

7. საქართველოს ეკლესია მზად არის, გასწიოს სულიერი მზრუნველობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებზე. ასევე საქართველოს საპატრიარქოს სამედიცინო დაწესებულებები მზად არის, ითანამშრომლოს სახელმწიფოსთან, რათა არსებულ სიტუაციაში მიიღოს შესაბამისი პაციენტები.

არაერთი განსაცდელი გადავიტანეთ საუკუნეების მანძილზე: სტიქიური უბედურებები, ომები, სხვადასხვა სახის ეპიდემია.

ღრმად გვწამს, რომ ღვთის წყალობით და ყოველწმინდა ღვთისმშობლის შეწევნით, ჩვენ ერთად, – ერი და ბერი, გადავიტანთ ამ განსაცდელსაც და ურთიერთსიყვარულით შევეგებებით ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

„უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა; ვისა მეშინოდის? უფალი შესავედრებელ არს ცხოვრებისა ჩემისა, ვისგან შევძრწუნდე?“ (ფსალ.26-1).

ღმერთმა დალოცოს საქართველო და მთელი მსოფლიო!


ველოდებოდი, რომ ზიარების წესზე გადაწყვეტილება არ იქნებოდა მიღებული, თუმცა საპატრიარქომ ჯანდაცვის სექტორის ბევრი რეკომენდაცია გაითვალისწინა.

„ჩვენ სამედიცინო, ჯანდაცვის მხრივ საპატრიარქოს ყველა ინფორმაცია მივანოდეთ და დაახლოებით ველოდით, რომ ამ ტიპის განცხადება იქნებოდა. გარკვეულად მიეცათ უფლება და კურთხევა მორწმუნეებს, რომ სახლში ილოცონ, რომ მივლენ მოძღვრები სახლებში, რომ დიდი თავშეყრა არ იყოს. საპატრიარქომ ჯანდაცვის სექტორის ძალიან ბევრი რეკომენდაცია გაითვალისწინა, საპატრიარქოს და პირადად პატრიარქის მოწოდება, რომ სწეული ადამიანები არ მიბრძანდნენ ტაძრებში, ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი თხოვნა. ბევრი სწეული მიბრძანდება ტაძარში სალოცავად იმ სწეულებისგან განკურნების მოლოდინით და ჩვენ ვურჩიეთ, რომ სასურველია, იყოს მოწოდება, რომ არ მივიდნენ ამ დროს, რადგან შეიძლება სიცხიან ადამიანებში იყოს შემთხვევები სწორედ კორონავირუსული ინფექციის“.



ამირან გამყრალიძე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი


მინდა, მივმართო მორწმუნე ქრისტიანებს, მინდა, მივმართო მრევლს, დავიცვათ ჩვენი დედაეკლესია, დავიცვათ მღვდელმთავრები ეკლესიაში არმისვლით, სახლში ლოცვით. დავიცვათ არა მარტო ამ ვირუსებისგან, არამედ სხვა ვირუსებისგანაც. დავიცვათ ჩვენი ეკლესია, ნუ მიხვალთ ეკლესიაში სალოცავად, ილოცეთ სახლში. ეკლესიის კარი ვერ დაიკეტება, იქ იქნებიან სასულიერო პირები, რომლებიც ილოცებენ ჩვენთვის. ჩვენ სახლში ვილოცოთ ერთმანეთისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის.




პაატა იმნაძე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

კორონავირუსი COVID-19 გლობალური საფრთხე და ჩვენი პასუხისმგებლობა!

ბავრცილქების ბეობრეფია 2020 წლის 13 აპრილი, 9სთ 30წთ.
მსოფლიოში... საქართველოში...



ქვეყანა — 204
დაინფიცირებული—1 850 807
გარდაცვლილი— 114 251



დაინფიცირებული— 266
გარდაცვლილი— 3
გამოჯანმრთელებული—67

თერჯოლა

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, 31 მარტისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტში უკვე ვირუსით დაინფიცირებული იყო 2 მოქალაქე, რომლებიც უკვე განიკურნენ და ამჟამად სახლებში იმყოფებიან. სამხუბროდ, გვაქვს ერთი ახალი დაინფიცირებული სოფელ ტვანჯეთიდან. იგი ქუთაისის ინფექციურ საავადმყოფოში მკურნალობს. მუნიციპალიტეტში ამჟამად თვითიზოლაციაშია 87 მოქალაქე. ვრცლად „თერჯოლის“ მომავალ ნომერში.

ზოგი ჭირი მარგებელია?!!

კორონავირუსმა თავდაყირა დააყენა ყველაფერი, მთლიანად შეცვალა მთელი მსოფლიოს და თითოეული ჩვენგანის ცხოვრების დღის წესრიგი...

უზარმაზარი პრობლემები მოგვიტანა თან—მსოფლიო პანდემია, პაციენტებით გადავსებული საავადმყოფოები, ათიათასობით გარდაცვლილი, მილიონზე მეტი ამ სენით დაავადებული და რაც ყველაზე სამწუხაროა— ყოველდღიურად მზარდი ეს არასასურველი მაჩვენებლები, აღარაფერს ვამბობთ უმძიმეს ეკონომიკურ დარტყმაზე— გაჩერებულ სანარმოებზე, ჩავარდნილ ტურისტულ ბიზნესზე, პრობლემებზე, რომლებიც შეექმნა განათლებას, კულტურას, ხელოვნებას, სპორტს, საერთოდ ყველა დარგს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ასეთი ურთულესი ვითარების ფონზე აქა-იქ, ზოგიერთ გლობალურ პრობლემასთან კავშირში დღემდე მიულწეველი სასურველი პროცესებიც შეინიშნება... თითქოს ისე ხდება, როგორც ნათქვამია: „ზოგი ჭირი, მარგებელია“... ეს რომ ასეა, ამას უხვი ფაქტებიც ადასტურებენ.

პირველი ფაქტი, რომელიც უნდა გაუწყოთ სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ, უფრო ზუსტად, 4 აპრილს, საღამოს დაავადდითარე...

რიბი-რაბოა... ანუ ის დრო, დღის სინათლე ნელ-ნელა რომ იცრიცება და იკლებს—სიბნელეს უთმობს პირველობას. ბარდუბანში ვარ (ჩემი მშობლიური სოფელია—რედ.), ეზოში ვსაქმიანობდი და შინ შევედი. რა თქმა უნდა, უმალ ტელევიზორი ჩავრთე, რამდენიმე ქართული არხი დავიძიე, მაგრამ ჩემმა გასაკვირად არცერთზე კორონავირუსის ირგვლივ არ საუბრობდენ.



მაღე ეს გაკვირვება გაცილებამ შეცვალა. ეზოდან შაშვის გალობა მომესმა, მას მეორეც შეეხიანა... იყო ამ ხმებში რაღაც განსაკუთრებული...

მართლაც, შაშვის გალობა ხომ ლულუნი არაა—იგი მჭკქარე შეძახილია, შემართული ხმაა!...

კარგად მენიშნა ეს ხმა.

ყველას გვახსოვს, წლების წინ ეს ფრინველი ისე განადგურდა საერთაშორისო ავტობანთან ახლომდებარე ოჯახების კარმიდამოში კი არა—ტყეშიდაც ვერ დაძებნიდით. ახლა კი როგორც ჩანს კვლავ გამრავლდა... ამკარაა, რომ ბუნება-



ში ალბათ რაღაც სასიკეთოდ იცვლება... სვალინდელი დღის იმედი კიდევ უფრო მომეცა... კორონავირუსთან გავაღვე კავშირის ხაზი და ამ დღეებში საინფორმაციო სივრცეებიდან გაუღერებული ისეთი პროცესები გამახსენდა რადიკალურად რომ შეცვალამათი პროცესების ხასიათი, ამ, სამ თუ ოთხთვიან კორონავირუსულ პერიოდში. აი ეს ფაქტებიც:

—მილიონობით ტურისტისაგან მუდმივდამხიბურებულ წყალში ჩაძირული ვენეციის ქუჩა-არხები ისე განმედილია, რომ იქ უკვე თევზებიც მრავლობენ! გედებიც და დელფინებიც გამოჩნდნენ!

—დიდი მეგაპოლისების თავზე სმოგები გაქრა და ცა გამოჩნდა!

—ოზონის სფერულბმა შევსება დაიწყო და აისბერგებმა დნობა შეანელეს!

—ბევრგან ომები, კონფლიქტები და ტერორისტული აქტები შეწყვეტილია, „თალიბანსაც“ კი უთქვამს უარი ძალადობაზე!

—არნახულად გაიადფა ნედლი ნავთობი (თუმც, არა მარტო ტრანსპორტის მოძრაობის მასიურად აკრძალვის გამო—რედ.), მისი ფასი 100-120 აშშ დოლარიდან 30 აშშ დოლარამდე შემცირდა.

ეს ალბათ კარგიცაა, მაგრამ ჩვენთან—საქართველოში, ეს ფასიკლება შესაბამის პროპორციაში არ დატყობა გასაყიდი ბენზინისა და დიზელის საწვავს!

—მართალია, უტრანსპორტობა ძალიან გვიჭირს, მაგრამ სასიამოვნოა შედეგი—ჩვენს დედაქალაქში, თბილისში, ამ რამდენიმე დღის წინ ჩატარებული ჰაერის შემადგენლობის გაზომვით ვაირკვა, რომ ქალაქის მთელ რიგ მაგისტრალებზე და ქუჩებზე მნიშვნელოვნად შემცირებულია მავნე ნივთიერებების შემცველობა. ზოგიერთ ქუჩაზე კი საერთოდ განულებულია ისეთი მავნე გამონაყოფი, როგორიც ნახშიროროჟანგია!

—კორონავირუსმა და აუცილებელმა აკრძალვებმა ბევრი ისეთი რამ დაათმობინა ადამიანების ერთ ნაწილს (არცთუ ცოტას—რედ.), ავი სიმსივნესავით, რომ მოსდებოდა ჩვენს საზოგადოებას—აზარტული თამაშები, გაუთავებელი ღრეობები...

ბევრმა თქვა უარი არაჯანსაღი ცხოვრების წესზე—ნარკოტიკზე, ნიკოტინზე, გარყვნილებაზე, რაც უეჭველად დადებითად დაეტყობა ამ მავნე ჩვევების თანმდევი უმძიმესი დაავადებების შემცირებას.

არის კიდევ ბევრი სხვა თემა თუ პრობლემა, რაზედაც დადებითი გავლენა მოახდინა კორონავირუსმა. ასე, რომ ამ უბედურებასაც ჰქონია რაღაც სიკეთე...

პოლო თმვა

მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, კორონავირუსი მანინე უნდა დავამარცხოთ!

ამ ბრძოლამ უკვე ცხადად აჩვენა, რომ ქვეყნებში, სადაც გამართულად მუშაობს სამთავრობო და ჯანდაცვის ვერტიკალი, როგორც მთავრობა, ისე მოქალაქეები ასრულებენ მაღალპროფესიული ეპიდემიოლოგების რეკომენდაციებს,

მდგომარეობა ბევრად უკეთესია იმ ქვეყნებზე, სადაც ეს პირიქით მოხდა.

რაც კარგია, ამ ბრძოლაში გავრთიანდა ყველა, ოპოზიცია და პოზიცია, ერთი და ბერი, გაჩნდა სოლიდარობა, რაც ასე გვაკლდა. კორონავირუსმა სახალხოდ და საჯაროდ აჩვენა საზოგადოებას ადამიანები, რომლებსაც შეიძლება ეხდო, დაეყრდნო, რომლებიც მზად არიან სიცოცხლის რისკის ფასად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები. გვემაყებინ ჩვენი ექიმები, პოლიციელები, ჯარისკაცები, საჯარო მოხელეები და არა ერთი სხვა პროფესიის ადამიანები—ისინი, ვინც თავს არ ზოგავენ, რომ უზრუნველყონ ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირება—გამართულად იმუშაონ კრიტიკული მნიშვნელობის ობიექტებმა სამედიცინო, ლოჯისტიკის და სასურსათო უზრუნველყოფის ორგანიზაციებმა.

ერთი სიტყვით, ურთულესი მდგომარეობის მიუხედავად, მაინც ვფიქრობ—საბოლოოდ უეჭველად გამოვალთ ამ უმძიმესი სიტუაციიდან, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ვიყო ერთად, ვიდგეთ გვერდიგვერდ, ზუსტად ვასრულებდეთ ვაცხადებულ რეკომენდაციებს და ვიცავდეთ საგანგებო რეჟიმის წესებს.

კორონავირუსი ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილებს გვიტარებს, უმკაცრეს გამოცდას გვინყობს. ეს ხალხის ჯანმრთელობის დაცვასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასაც ეხება. უპირველესად, ჩვენმა ქვეყანამ, ქართველმა ხალხმა არამც და არამც არ უნდა იცხოვროს მხოლოდ მოსული ტურისტის და უცხოეთში წასული ახლობლების, კაზინოებისა და საროსკომპოების ხარჯზე, რაც სამწუხაროდ, დღემდე ჩვენი ეკონომიკის მნიშვნელოვანი სევდენია.

საქართველო ინტელექტუალების, გონიერებით განსაკუთრებით გამორჩეული ადამიანების ქვეყანაა და მოდით, გამოვიყენოთ ეს ჩვენი განსაკუთრებულობა, რადგან დიდი ალბათობით, ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვან შემოსავლებს



წნორედ ასეთი ადამიანების იდეების და ნოვაციების ხორცშესხმით, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვით, ადგილობრივ ნედლეულზე და ენერგეტიკულ რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკის ალორძინებით მაილწევს.

ამ უმძიმესი განსაცდელის პირობებში ყოველდღიურად ვრწმუნდებით, რომ მსოფლიოს ხალხებმა და მთავრობებმა, მათ შორის ჩვენც, კორონავირუსის ამ ჭკუისასწავლებელი გაკვეთილებიდან ბევრი რამ უნდა შევცვალოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ პირადი ცხოვრების ყველა კონკრეტულ უბანზე...

დავით კლდიაშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი ვალერიან ბოზიაშვილი 599 92 49 75	მთავარი რედაქტორი დავით კლდიაშვილი 599 91 24 14	კორესპოდენტები: ნ. გამყრელიძე—555 78 08 55 ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16 ე. ცხადაძე—558 90 82 55 მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41	აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში მისამართი: თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2 დაიბეჭდა ქუთაისის შპს „სომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზ. №33	ჩვენი რეკვიზიტები: „ლიბერთი ბანკი“ LBRTGE22, ანგარიში GE32LB0113133960124000 ს/კ 231948872
---	--	---	--	---

რეგისტრაციის №53/5/ბ-22 გამოდის თვეში ორჯერ ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru